საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება №124

თბილისი „30“ 01 2020 წ.

„სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების“ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ც“ ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 24 იანვრის N72093 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამა (პროგრამული კოდი: 32 04 02 06) ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., N6).

ირინე აბულაძე
მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დამტკიცებულია:

საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მინისტრის
2020 წლის 30.01 № 129 ბრძანებით

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს

პროგრამული კოდი - 32 04 02 06

2020 წელი

მუხლი 1.

1.1. პროგრამის დასახელება	სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს
1.2. პროგრამის განხორციელების ვადები	2020 წელი
1.3. პროგრამის ჯამური ბიუჯეტი	4,100,000.0 ლარი
1.4. პროგრამის ხელმძღვანელი	მინისტრის მოადგილე - ნუნუ მიცკევიჩი

მუხლი 2. პროგრამის აქტუალობა და მიზანი

პიროვნების ინტერესებისა და შესაძლებლობების შესატყვისი უმაღლესი განათლების მიღების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების, პიროვნული პოტენციალის რეალიზებისა და შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარების მიზნის მისაღწევად სახელმწიფო უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას. პროგრამა ემსახურება სტუდენტთა სწავლის ხელშეწყობას და მოტივაციის ამაღლებას და მათთვის სახელმწიფო სტიპენდიების, ასევე, დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის მეშვეობით. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის მიზანია სტუდენტთა სასწავლო პროცესებში აქტიურად ჩართულობის ხელშეწყობა და წახალისება.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

სახელმწიფო სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნება პროგრამაში ჩართული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების (გარდა სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა) ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული, აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტთა საერთო რაოდენობის 4%.

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში იანვრის და თებერვლის თვეებში და მეორე სემესტრში უზრუნველყოფილი იქნება 4 სტუდენტი და 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების მექანიზმები

პროგრამა განხორციელდება ქვეპროგრამების მეშვეობით:

- ✓ ქვეპროგრამა 1. სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს.
- ✓ ქვეპროგრამა 2. დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს.

მუხლი 5. სულ პროგრამის ბიუჯეტი

სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს	4,100,000.0
სხვა ხარჯები	4,100,000.0

მუხლი 6. ქვეპროგრამების ბიუჯეტი

კოდი	პროგრამა/ქვეპროგრამა	2020 წელი
	სულ ქვეპროგრამები	**4,100,000.0**
	სუბსიდიები	**4,100,000.0**
1	**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**	**4,086,200.0**
	სხვა ხარჯები	4,086,200.0
2	**დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს**	**13,800.00**
	სხვა ხარჯები	13,800.00

მუხლი 7. პროგრამის შეფასების ინდიკატორები

7.1 საბაზისო მაჩვენებელი

- ✓ 2018-2019 სასწავლო წლის პირველის სემესტრის იანვრის და თებერვლის თვეებში სტიპენდიებით უზრუნველყოფილია 2701 სტუდენტი, 2018-2019 სასწავლო წლის მეორე სემესტრში სტიპენდიით უზრუნველყოფილია 2578 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის სტიპენდიით უზრუნველყოფილია 2987 სტუდენტი;
- ✓ 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით უზრუნველყოფილია 4 სტუდენტი. (2 სტუდენტი დიმიტრი გულიას სახელობის სტიპენდიით და 2 სტუდენტი კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით).

7.2 მიზნობრივი მაჩვენებელი

- ✓ 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში იანვრის და თებერვლის სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 2987 სტუდენტი, 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრში და 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 2658 -მდე სტუდენტი.
- ✓ დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში იანვრის და თებერვლის თვეებში და მეორე სემესტრში უზრუნველყოფილი იქნება 4 სტუდენტი და 2020-2021 სასწავლო წლის პირველ სემესტრში ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი.

7.3. ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)

- ✓ ცდომილების ალბათობა შეადგენს დაახლოებით 5%-ს.

7.4. შესაძლო რისკები

- ✓ ქვეპროგრამაში ჩართულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტუდენტთა საერთო რაოდენობის ცვლილება.
- ✓ მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არ ირიცხებიან საქართველოს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ქვეპროგრამა 2

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები
სტუდენტებს

პროგრამული კოდი - 32 04 02 06

2020

მუხლი 1. ქვეპროგრამის დასახელება და განხორციელების ვადები

1.4. ქვეპროგრამის დასახელება	დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს
1.5. ქვეპროგრამის განხორციელების ვადები	2020 წელი
1.6. ქვეპროგრამის ჯამური ბიუჯეტი	13 800 ლარი

მუხლი 2. ქვეპროგრამის მიზანი

„დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს" ქვეპროგრამის (შემდგომში - ქვეპროგრამა) მიზანია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიები და ცხინვალის რეგიონი) მცხოვრები სტუდენტების ხელშეწყობა და წახალისება.

მუხლი 3. ქვეპროგრამის აღწერა

ქვეპროგრამა ემსახურება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტების სოციალური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობას და სწავლის მოტივაციის ამაღლებას მათთვის დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიების დანიშვნის მეშვეობით.

მუხლი 4. ქვეპროგრამის მიზნობრივი ჯგუფი

1. ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენს „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს" პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 თებერვლის №189 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების გაცემის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2019 წლის 11 დეკემბრის №1646 ბრძანების პირველი პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სტუდენტები.

2. ქვეპროგრამის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები, რომლებიც ბოლო 2 წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში და ცხინვალის რეგიონში) არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და რომელთა სრული ზოგადი განათლება აღიარებულ იქნა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და რომლებმაც „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსებისთვის განცხადებით მიმართეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაციას სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით.

მუხლი 5. ქვეპროგრამის განხორციელების სტრატეგია

1. დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები ერთ სტუდენტზე გაიცემა 300 ლარის ოდენობით თვეში.

2. საქართველოს განათლების მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო უფლებამოსილია ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლით გათვალისწინებულ სტუდენტებზე გამოითხოვოს პერსონალური ინფორმაცია სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან 2020 წლის პირველი აპრილის და პირველი ნოემბრის მდგომარეობით.

3. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით მოთხოვნილი ინფორმაცია მიაწოდოს სამინისტროს მოთხოვნიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში.

4. ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცემა დიმიტრი გულიას სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომელიც ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის გათვალისწინებით სწავლობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის ერთი სტიპენდია იმ სტუდენტისთვის, რომლიც ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მეორე პუნქტის გათვალისწინებით სწავლობდა ცხინვალის რეგიონში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში.

5. 2020 წლის იანვრის და თებერვლის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდია გაიცემა ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტებზე, 300 ლარის ოდენობით თვეში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

6. 2020 წლის მარტის აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები გაიცემა, 300 ლარის ოდენობით თვეში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის 2020 წლის პირველი აპრილის მონაცემების შესაბამისად, ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში.

7. 2020 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები გაიცემა, 300 ლარის ოდენობით თვეში, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის 2020 წლის პირველი ნოემბრის მონაცემების შესაბამისად, ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის პირველი და მეორე პუნქტით გათვალისწინებულ აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის შემთხვევაში.

8. დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ სტუდენტებზე გაიცემა 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების აბსოლუტური ქულებით რანჟირების სიის საფუძველზე, საუკეთესო ქულების მქონე სტუდენტებზე.

9. ამ ქვეპროგრამის მე-4 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიანტი სტუდენტები განისაზღვრება მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

10. დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიის მფლობელი სტუდენტის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის შემთხვევაში სტიპენდიის გაცემა შეწყდება.

11. დაუშვებელია დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიანტი იმავდროულად იღებდეს სტიპენდიას „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ ქვეპროგრამის ფარგლებში.

12. „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 21 თებერვლის №189 ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში სტიპენდიების გაცემის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის (შემდგომში - მინისტრი) 2019 წლის 11 დეკემბრის №1646 ბრძანების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სტუდენტები დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიას 2020 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში მიიღებენ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ 2019-2020 სასწავლო წელს ათვისებული ექნებათ არანაკლებ 35 კრედიტი.
13. ქვეპროგრამის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო.
14. უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტი მონიტორინგის ფარგლებში უფლებამოსილია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გამოითხოვოს, ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია მიაწოდოს დეპარტამენტს, ინფორმაცია, მათ შორის, პერსონალური მონაცემები, სტიპენდიანტი სტუდენტების შესახებ.

მუხლი 6. მოსალოდნელი შედეგი

დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნება ბაკალავრიატის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული 6 სტუდენტი.

მუხლი 7. ქვეპროგრამის სპეციფიური ამოცანები, ვადები და შესაბამისი აქტივობები:

N	ამოცანა/შედეგი	აქტივობები	ვადები
1	2020 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის, ივლისის, ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეებში სტიპენდიანტიების გაცემა	ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა	2020 წლის თებერვალი, მაისი, დეკემბერი
2	2020 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეების სტიპენდიანთა შერჩევა	სტიპენდიანტთა გამოვლენა	2020 წლის ნოემბერი-დეკემბერი

მუხლი 8. ქვეპროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეები და მათი ფუნქციები/ვალდებულებები

N	პასუხისმგებელი უწყება/სტრუქტურული ერთეული/ პოზიცია	ფუნქციები/ვალდებულება
1	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების განვითარების დეპარტამენტის სტუდენტთა სოციალური ხელშეწყობის სამმართველო	უზრუნველყოფს სტიპენდიანტთა შერჩევას და შერჩეული კანდიდატების წარდგენას საქართველოს

		განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრისთვის
2	აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის ადმინისტრაცია	უზრუნველყოფენ ბენეფიციართა სიების წარმოდგენას სამინისტროში

მუხლი 9. ქვეპროგრამის ბიუჯეტი

პროგრამული კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სულ 2020 წელი
32 04 02 06	დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიები სტუდენტებს	13 800
	სხვა ხარჯები	13 800

მუხლი 10. მოსალოდნელი საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები მიმდინარე წლისთვის

10.1 საბაზისო მაჩვენებელი

2019-2020 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით უზრუნველყოფილია 4 სტუდენტი.

10.2 მიზნობრივი მაჩვენებელი

2019-2020 წლის სასწავლო წლის იანვრის, თებერვლის, მარტის აპრილის, მაისის, ივნისის და ივლისის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 4 სტუდენტი.

2020-2021 სასწვლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის თვეებში დიმიტრი გულიასა და კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდიით უზრუნველყოფილი იქნება 6 სტუდენტი.

10.3 შესაძლო რისკები

ქვეპროგრამით გათვალისწინებული მიზნობრივი ჯგუფის წარმომადგენლები არ ირიცხებიან საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების აკრედიტებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.